დევნის უწყვეტი პრაქტიკა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში



დევნის უწყვეტი პრაქტიკა

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში

2022

თბილისი

ანგარიში მომზადდა სოციალური სამართლიანობის ცენტრის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ. დოკუმენტის რედაქტირება და თარგმნა შესაძლებელი გახდა ღია საზოგადობის ფონდის მხარდაჭერით.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.
© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06 https://socialjustice.org.ge info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

აჭარის ტელევიზია 1987 წელს დაარსდა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინსტიტუციურ დაქვემდებარეაში ოპერირებდა. დამოუკიდებელი მაუწყებლის სტატუსი მას მხოლოდ 2013 წელს მიენიჭა. ისტორიულად, აჭარის მაუწყებელი ხელისუფლებების პოლიტიკური დაქვემდებარების და კონტროლის ქვეშ მუშაობდა და მხოლოდ ბოლო წლებში მოახერხა დამოუკიდებლობის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის რეალურ მიზანთან დაახლოება. მაუწყებელმა კრიტიკული და სოციალურ ინტერესზე ორიენტირებული მუშაობა რეფორმატორი დირექტორის, ნათია კაპანაძის, მმართველობის შემდეგ დაიყო. ეს ცვლილება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც იყო აღიარებული.[1] თუმცა მას შემდეგ, რაც 2019 წლის 19 აპრილს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ ნათია კაპანაძეს საკმარისი დასაბუთების გარეშე იმპიჩმენტი გამოუცხადა და 2019 წლის 22 ნოემბერს ქართული ოცნების უმრავლესობით დაკომპლექტებულმა ახალმა მრჩეველთა საბჭომ მეოთხე მცდელობაზე ახალ დირექტორად გიორგი კოხრეიძე აირჩია, მაუწყებლის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

აღსანიშნავია, რომ მაუწყებელში ჩართვის დროს მმართველი გუნდის ლიდერები, მათ შორის, მმართველი პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, თორნიკე რიჟვაძე მაუწყებლის ჟურნალისტებს ოპოზიციასთან კავშირში ადანაშაულებდნენ და „დაწყნარებისკენ“ მოუწოდებდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლების ეს განცხადებები, აჭარის მაუწყებელში შემდგომ განვითარებული მოვლენების ფონზე, მაუწყებლის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წინასწარ ორგანიზებული პოლიტიკური პროცესის განცდასა და ნიშნებს ქმნიდა.

დირექტორის პოზიციაზე საეჭვო კონტექსტში დანიშნულმა გიორგი კოხრეიძემ მაუწყებლის ჟურნალისტებს კრიტიკული ტონი დაუწუნა და მის პირველსავე ეთერში ჟურნალისტებს მიუთითა, რომ რესპოდენტებს ისინი „მამასავით და ძმასავით“ უნდა მოპყრობოდნენ. მოგვიანებით კი გ. კოხრეიძემ ტელევიზიის გუნდი მიკერძოებაში დაადანაშაულა.[2] მალევე დირექტორმა, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის სურვილით, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით თანამდებობები დაატოვებინა იმ პირებს, როლებიც უშუალოდ განსაზღვრავდნენ და ახორციელებდნენ მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკას. ამავე პერიოდში დაიწყო უსაფუძვლო და თვითნებური დისციპლინური საქმის წარმოებები არაერთი ჟურნალისტის მიმართ. დირექტორი დასაქმებულთა შევიწროებით, მათი სამუშაო პროცესიდან ჩამოშორებით, დისციპლინური დევნით, ჩამოქვეითებითა და სხვა მსგავსი გზებით ცდილობდა სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას და დამოუკიდებელი ჟურნალისტების პროსახელისუფლებო კადრებით ჩანაცვლებას.

მაუწყებელში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, პირადი პროფესიული და მაუწყებლობის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის დასაცავად, 2020 წლის 28 იანვარს ჟურნალისტებმა დაარსეს ალტერნატიული პროფესიული კავშირი (შემდგომში - პროფკავშირი), რომელშიც 68 ჟურნალისტი გაერთიანდა. მაუწყებლის დირექტორმა დაიწყო იმ თანამშრომლების პერსონალური დევნა, რომლებიც ხსენებულ პროფკავშირში გაერთიანდნენ, შემოიღო ქცევის სპეციალური წესები სოციალურ ქსელში თანამშრომელთა მონიტორინგისა და სანქცირების მიზნით. დირექტორმა სამსახურიდან გაათავისუფლა პროფკავშირის თავმჯდომარე და მისი სხვა მმართველი წევრებიც. დევნის პროცესი დღემდე გრძელდება.

---

[1] იხ. 2019 წელს აპრილში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის (ODIHR), ევროკავშირისა და გაეროს მედია მონიტორინგის (EU-UNDP) ანგარიშები.

[2] https://www.youtube.com/watch?v=94fY6aA6UNk

დირექტორი კი, ამ პოზიციაზე ყოფნის მთელი ვადის განმავლობაში, ხელოვნურად შექმნილი მიზეზებით ცდილობდა მაუწყებლის ძირითად საქმიანობას ჩამოეშორებინა პროფკავშირის ის წევრები, რომლებიც მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებით უკმაყოფილონი იყვნენ და საჯაროდ აქტიურად აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას.

ტელევიზიაში განვითარებული ზემოაღნიშნული მოვლენები მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევად შეაფასა არაერთმა შიდა და საერთაშორისო ორგანიზაციამ. კერძოდ, მედიის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (Reporters Sans Frontieres - RSF) ევროპის საბჭოს მედია პლატფორმაზე აჭარის მაუწყებლის შესახებ განგაშის შეტყობინება გამოაქვეყნა. RSF-მა განაცხადა, რომ შეშფოთებულია საქართველოში მედიაზე მზარდი კონტროლის გამო. ორგანიზაციამ ხელისუფლებას მოუწოდა, პატივი სცეს ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო დამოუკიდებლობას.[3]

მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენელმა, ჰარლემ დეზირმა, განაცხადა: „შეშფოთებული ვარ საქართველოში, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს ძირითადი პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის თანამდებობიდან გადაყენებისა და გადადგომის გამო“. ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი ასევე წერს, რომ შეშფოთებულია „სარედაქციო პოლიტიკაში მენეჯმენტის ჩარევის შესახებ ცნობებით“. „დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს ასრულებს და უმთავრესია მედიის თავისუფლებისთვის“.[4]

ნიშანდობლივია, რომ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები კრიტიკულად შეაფასა საქართველოს სახალხო დამცველმაც, როგორც მედია პლურალიზმისთვის საფრთხის შემცველი ქმედებები. საქართველოს სახალხო დამცველმა მაუწყებლის არაერთი თანამშრომლის შემთხვევაში დაადგინა დისკრიმინაცია (შეხედულებების, განსხვავებული მოსაზრებების და პროფესიულ კავშირის წევრობის გამო), კანონდარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების, შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები და წერილობითი რეკომენდაციებით მიმართა მაუწყებელს ბათილად ეცნო მიღებული გადაწყვეტილებები და აღედგინა საკუთარი თანამშრომლების დარღვეული უფლებები. უკანონოდ იქნა მიჩნეული, მაგალითად, მაია მერკვილაძის, მალხაზ რეხვიაშვილის, სოფიო ჟღენტის და შორენა ღლონტის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები, ხოლო თეონა ხარაბაძის შემთხვევაში დადგინდა პირდაპირი დისკრიმინაცია განსხვავებული მოსაზრებების და პროფკავშირში წევრობის გამო.[5]

მიმდინარე უსამართლო სარედაქციო, ადმინისტრაციული და შრომითი გადაწყვეტილებების ფონზე აშკარა გახდა, რომ იცვლებოდა მაუწყებლის მუშაობის შინაარსი და სარედაქციო პოლიტიკაც. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ 2019 წლის 25 დეკემბრიდან 2020 წლის 4 ივნისის

---

[3] „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ განცხადება (ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/media-freedom/detail-alert?p_p_id=sojdashboard_WAR_coesojportlet&p_p_lifecycle=0&p_p_col_id=column-4&p_p_col_count=1&_sojdashboard_WAR_coesojportlet_alertId=60386972);

[4] ჰარლემ დეზირის განცხადება (ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/432721/);

[5] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 24 აპრილის №04-2/4408 და 2020 წლის 24 აგვისტოს №13-3/8363 რეკომენდაციები; საქართველოს სახალხო დამცველი განცხადება (ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-acharis-televiziashi-mimdinare-movlenebs-ekhmaureba);

ჩათვლით[6] პერიოდში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ საკადრო ცვლილებების განხორციელების შემდგომ სარედაქციო პოლიტიკა გარკვეულ გადაცემებში შეიცვალა. მაგალითად, ცვლილებები შეინიშნებოდა 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, რაც გამოიხატებოდა „მნიშვნელოვანი ამბების მიჩქმალვა/არგაშუქებაში, ბალანსის ხელოვნურად დაცვასა და კრიტიკისგან დაცლილი კონტენტის გავრცელებაში.“ ამავდროულად, თუ მონიტორინგის დასაწყისში აღნიშნული საინფორმაციო გამოშვება კრიტიკული იყო სტუმრების მიმართ, საკადრო ცვლილებების შემგომ ეს მიდგომა შეიცვალა - სტუმრებს აღარ უსვამდნენ კრიტიკულ შეკითხვებს; მისი კონტენტი, ძირითადად, დაცლილი იყო ხელისუფლების კრიტიკისგან და საინფორმაციო გამოშვება სჯერდებოდა მიმდინარე ამბების მხოლოდ მშრალად გაშუქებას, არ ცდილობდა ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილების კრიტიკულად გაანალიზებას და მაყურებელისთვის საკითხის შესახებ მრავალმხრივი მოსაზრებების მიწოდებას.[7] ქარტიის მიერ ჩატარებული წინასაარჩევნო და პოსტ-საარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ გვიანდელ პერიოდში 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში თვალსაჩინო იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ლოიალური და არაკრიტიკული დამოკიდებულება. მმართველი გუნდის კრიტიკა ისმოდა მხოლოდ ოპონენტებისგან და თავად არხი არ ცდილობდა კრიტიკული კონტენტის შექმნას. ამავე ანგარიშების პერიოდში, შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი ახალი ამბების მიჩქმალვა/არგაშუქება.[8] ტოკშოუების შემთხვევაში იყო გადაცემები, რომელთა სარედაქციო პოლიტიკაზეც გიორგი კოხრეიძის შემდეგ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია. ქარტიის მიერ მონიტორინგებული გადაცემებიდან ასეთებს წარმოადგენდა ,,სათქმელი,“ ,,მთავარი აჭარაში“ და ,,კვირის მთავარი“.[9] აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტიდან დაიწყო გადაცემა ,,თავისუფალი სივრცე,“ რომლის გადაცემის თემები რელევანტური იყო, თუმცა ხშირად წამყვანს სათანადოდ არ ჰქონდა მომზადებული განსახილველი საკითხები; შესამჩნევი იყო მისი სუბიექტური, უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ - კრიტიკულ შეკითხვებს, ძირითადად, მათ უსვამდა.[10]

---

[6] 2020 წლის 11 მარტიდან ამავე წლის 20 აპრილამდე მედიამონიტორინგი შეჩერებული იყო, რისი მიზეზიც აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები და საგაფიცვო პროცესის დაწყება გახდა - გადაცემები, ძირითადად, ეთმობოდა თავად მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს.

[7] აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის ანგარიში (25.12.2019 – 4.06.2020) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

[8] საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში (15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის ანგარიში (1 თებერვალი - 31 მარტი, 2021) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ახალი ამბების პოსტ-საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში (24 იანვარი - 23 მარტი, 2022) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

[9] აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის ანგარიში (25.12.2019 – 04.06.2020) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

[10] აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის ანგარიში (25.12.2019 – 04.06.2020) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში (15 აგვისტო - 21 ნოემბერი, 2020) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

აჭარის მაუწყებელში მიმდინარე ნეგატიური პროცესები, გარდა იმისა, რომ ათეულობით ადამიანის შრომითი უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას უკავშირდება, ქვეყანაში მედია თავისუფლების მდგომარეობაზე ახდენს გავლენას და ვნებს საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტის იდეას. ნიშანდობლივია ისიც, რომ მაუწყებელში მიმდინარე ნეგატიური პროცესები, მთლიანობაში, ქვეყანაში პოლიტიკური და მედია კლიმატის გაუარესების ტენდენციას ემთხვევა. პოლიტიკური პოლარიზებისა და მასთან დაკავშირებული პოპულიზმის კვალდაკვალ, ხელისუფლება ხშირად სწორედ ჟურნალისტებისა და მედია ორგანიზაციებისგან ქმნის მტრის ერთგვარ ხატს, რომელთანაც ბრძოლა პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლის მოტივით მართლდება. თუმცა, ამ სტრატეგიის უკან დემოკრატიული სივრცის შეკუმშვისა და ხელისუფლების კონტროლის და ანგარიშვალდებულების ავტორიტარული ინსტინქტები უფრო იკითხება.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ადგილობრივი მედია ბაზრის ფორმირება, პოლიტიკური გავლენა მედიაორგანიზაციებზე კვლავაც განსაკუთრებით საგრძნობია, ხოლო საჯარო სიკეთის ცნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება - არაერთგვაროვანი.[11] საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნდამენტური დანიშნულება ყველა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით საზოგადოების თანაბარი და მიუკერძოებელი ინფორმირების უზრუნველყოფაა .[12]

ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს 2007 წლის რეკომენდაციით, წევრ ქვეყნებს ახალ ციფრულ გარემოში საზოგადოებრივი მაუწყებლობის როლის განმტკიცების უფრო მეტად უზრუნველყოფის დამატებითი ვალდებულება განესაზღვრა.[13] რეკომენდაციით კვლავ გაესვა ხაზი საზოგადოებრივი მაუწყებლობის სპეციფიკური მისიის მნიშვნელობას, რომ იგი, თავისი არსით, ახორციელებს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომ, პლურალისტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან, რამდენადაც, საჯარო ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე, ის მოვალეა უპირობოდ უჭერდეს მხარს დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებს, განსაკუთრებით კი - ადამიანის უფლებებსა და პოლიტიკურ პლურალიზმს.[14]

[საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2 აგვისტო - 30 ოქტომბერი, 2021)](#) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

[საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგის ანგარიში (1 თებერვალი - 31 მარტი, 2021)](#) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

[საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა - სატელევიზიო ტოქშოუების პოსტ-საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში (24 იანვარი - 23 მარტი, 2022)](#) ბოლო ვიზიტი 03.10.2022

[11] ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია, ლაშა ქავთარაძე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sachiroebebi-sazogadoebrivi-mautsqebeli-da-pandemia-1

[12] Council of Europe, Recommendation 1641 (2004), "Public service broadcasting", ხელმისაწვდომია: https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17177&lang=en

[13] Council of Europe, Recommendation CM/Rec(2007)3 of the Committee of Ministers to member states on the remit of public service media in the information society, ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016805d6bc5

[14] იქვე.

მაუწყებლობის ევროპული კავშირის (EBU) მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლობებს, დამოუკიდებლობის მაღალი ინდექსისა და საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, აქვთ უფრო მაღალი სარედაქციო სტანდარტი, ვიდრე კომერციულ სამუწყებლო მედიებს, ვინაიდან იმთავითვე მიიჩნევა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობა თავისუფალია კომერციული და პოლიტიკური ზეწოლისაგან.[15]თავის მხრივ, დამოუკიდებელი მედიისა და ობიექტური ინფორმაციის როლი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან იმდენად, რამდენადაც, სწორად ინფორმირებული საზოგადოება პირდაპირ ნიშნავს სამოქალაქო და პოლიტიკური პროცესებით მეტ დაინტერესებულ მოქალაქეს. შესაბამისად, დამოუკიდებელი მედიის როლი თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნებაში უმნიშვნელოვანესია. სწორედ აღნიშნულის გარანტი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ინფორმაციის გაშუქების მაღალი პლურალისტური ხარისხითა და ობიექტურობით.[16] საზოგადოებრივი მაუწყებლობის დანიშნულებაზე ყურადღება გამახვილდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 2022 წლის სხდომაზეც, სადაც აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის საქმიანობა პირდაპირ უთანაბრდება დაბალანსებული ინფორმაციის სწორ პოზიციონირებას, ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი, თავისი არსითა და საქმიანობით, მხარს უჭერს აზრთა სიმრავლესა და ობიექტურობას, რაც ცალსახად განაპირობებს სახელმწიფოს მყარ დემოკრატიულ და სუვერენულ საფუძვლებს.[17]

1. მაუწყებლის დასაქმებულების შრომითი უფლებების უხეში დარღვევის პრაქტიკა

1.1. შრომითი დავების ჯაჭვის მიმოხილვა

2019 წლიდან დღემდე მაუწყებლობის ახალი დირექტორატი უხეშად არღვევს როგორც ჟურნალისტების ინდივიდუალურ უფლებებს, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლობის უმთავრეს პრინციპებს - იყოს სახელმწიფო გავლენებისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის გამტარებელი, სამართლიანი და მიუკერძოებელი. ამავე პერიოდიდან იწყება უკანონო გადაწყვეტილებების მიღების მთელი ციკლი, რაც გამოიხატა შიდაორგანიზაციულ ცვლილებებში, ჟურნალისტების ტოტალურ კონტროლში, მათ დისციპლინურ დევნაში, შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტაში/შეცვლაში. მაუწყებელი უხეშად და მიზანმიმართულად ერეოდა და ერევა კრიტიკულად განწყობილი, პროფკავშირში გაწევრიანებული ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში სარედაქციო პოლიტიკის შეცვლისკენ აშკარა მითითებებით, საქმიანობის შეზღუდვით, საქმიანობიდან ფაქტობრივი ჩამოშორებით..

ზემოაღნიშნული მოვლენების ფონზე, ჟურნალისტების დიდი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობები. ზოგი მათგანი კი უშუალოდ დირექტორის გადაწყვეტილებით გათავისუფლდა. კერძოდ, გ. კოხრეიძემ მყის დაიწყო საკადრო ცვლილებები მაუწყებელში და ყველა ის

---

[15] Operating Eurovision and Euroradio , PMS CONTTRIBUTION TO DEMOCRACY, გვ.7-8, ხელმისაწვდომია: https://www.ebu.ch/files/live/sites/ebu/files/Publications/MIS/login_only/c2s/EBU-MIS_PSM-Contribution-to-Democracy_2018.pdf

[16] OPERATING EUROVISION AND EURORADIO, DEMOCRACY AND PUBLIC SERVICE MEDIA, გვ.7, ხელმისავწოდმია:https://www.ebu.ch/files/live/sites/ebu/files/Publications/MIS/login_only/psm/EBU-MISSM_Democracy_2021_Public_version.pdf

[17] OSCE, Report on the sixth expert roundtable: The role of public service media in countering disinformation, 20 June 2022, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/c/4/522343.pdf

პირი, რომელიც პასუხს აგებდა სარედაქციო დამოუკიდებლობაზე, ჩამოაშორა შესაბამის პოზიციებს. განსხავებული შეხედულებების გამო 2019 წლის 25 ნოემბერს მაუწყებელი დატოვეს კონსულტანტმა ზვიად ქორიძემ და მაუწყებლის ტელე-რადიო და ვებ. პლატფორმების განვითარების ექსპერტმა მარინა ვაშაყმაძემ. გიორგი კოხრეიძემ 2020 წლის 10 იანვარიდან ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა და სამსახურიდან გაათავისუფლა საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი და რედაქტორი ნათია შავაძე. ნათია შავაძეს, საინფორმაციო სამსახურში, მისი ფუნქცია/მოვალეობებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ეჭირა (განსაზღვრავდა მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო პოლიტიკას). აგრეთვე უნდა აღინიშნოს ნათია კაპანაძის მოადგილის, ნათია ზოიძის შემთხვევა. ნათია ზოიძე მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით მაუწყებლის სამივე პლატფორმის (ტელევიზია, რადიო, ონლაინ) სარედაქციო პოლიტიკაზე იყო პასუხისმგებელი. თუმცა, გ. კოხრეიძემ ხელშეკრულებაში ცვლილება ცალმხრივად შეიტანა და ნ. ზოიძეს აღნიშნული უფლებამოსილება ჩამოართვა, რითაც მისი, როგორც დირექტორის მოადგილის პოზიცია უფუნქციო გახადა. ნათია ზოიძე იძულებული გახდა 2020 წლის 2 თებერვალს დაეტოვებინა მაუწყებელი. მის მიმართ დევნის გამოცდილების ფაქტებზე ნ. ზოიძემ პროკურატურას განცხადებით მიმართა. მაუწყებელში მიმდინარე პროცესების ფონზე, 2020 წლის თებერვალში ტელევიზია პროტესტის ნიშნად დატოვა ჟურნალისტმა ნინო ხოზრევანიძემაც. ამავე პერიოდში გიორგი კოხრეიძემ სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლა ახალი ამბების სამსახურის უფროსი შორენა ღლონტი, გააუქმა ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის მაია, მერკვილაძის პოზიცია და გააუარესა მისი სამსახურებრივი მდგომარეობა, უკანონოდ გაათავისუფლა წამყვანი თეონა ბაკურიძე და დაუსაბუთებლად დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა მის მიმართ კრიტიკულად განწყობილ რამდენიმე სხვა თანამშრომელს (დეტალურად საქმეები იხ. ქვემოთ). სრულიად მოულოდნელად და უსაფუძვლოდ შრომითი ხელშეკრულებები არ გაუგრძელდა პროფესიული კავშირის წევრებს, ჟურნალისტებს ნათია ქარჩილაძეს და გიორგი არობელიძეს. ეს ადამიანები იყვნენ გადაცემა „ჰეშთეგის“ და „ათვლის კუთხის“ წამყვანები. ამ გადაცემამ მხარი დაუჭირა და თანაწამყვანობა შესთავაზა პროფკავშირის თავმჯდომარეს, მ. რეხვიაშვილს. აღნიშნულის გამო 2021 წლის დასაწყისიდან ორივე წამყვანს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება. ამასთან ერთად, 2020 წლის 18 მარტს თანამშრომლების, ბექა რომანაძისა და ლაშა ზანგირავას მიმართაც დაიწყო მოკვლევა. ორივენი ალტერნატიული პროფკავშირების წევრები არიან და აქტიურად აპროტესტებენ დირექტორის მოქმედებებს. ბექა რომანაძე თეონა ხარაბაძის მეუღლეა, რომელიც აქტიურად აპროტესტებს დირექტორის ქმედებებს და რომლის მიმართაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დირექტორი ახორციელებს სამსახურეობრივ დევნას. დირექტორი ცდილობს წლების განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესწავლას, რათა იპოვოს რაიმე დარღვევა, რაც საბოლოოდ მათი ტელევიზიიდან ჩამოცილების საფუძველი გახდება. უკანონო ჩარევას ჰქონდა ადგილი აგრეთვე საინფორმაციო გადაცემის წამყვანის, თეონა თურმანიძის მიმართაც, როდესაც მან 2020 წლის 21 აპრილს სოციალურ ქსელში მაუწყებლის ახალი მენეჯმენტი ვებპლარტფორმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა. აღნიშნულის საფუძველზე, გიორგი კოხრეიძის გადაწყვეტილებით, თეონა თურმანიძე ჩამოშორდა ეთერს.

2020 წელს მაუწყებლის არაერთმა თანამშრომელმა მიმართა სასამართლოს, შრომითი უფლებების დაცვის და ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევის აღკვეთის მოთხოვნით. აღნიშნული დავები ორ წელზე მეტია მიმდინარეობს და მაუწყებლის მიზანმიმართული ქმედებების გამო უსაფუძვლოდ ჭიანურდება. ამასთან, იზრდება დავის საგანი და მოთხოვნების არეალი, ვინაიდან მაუწყებლის მხრიდან შრომითი უფლებების ხელყოფას სისტემატური და არარერთჯერადი ხასიათი აქვს. მაუწყებელში მიმდინარე პროცესების უკანონობის მასშტაბი აშკარაა და ის დღითიდღე იზრდება.

1.1.1. მაია მერკვილაძის საქმე

მაია მერკვილაძე 2017 წლის 1 ივლისიდან იკავებდა მაუწყებლის ახალი ამბების საინფორმაციო სამსახურის მოადგილის თანამდებობას (იგი ასევე ითავსებდა მთავარი რედაქტორის ფუნქციებსაც).

2020 წლის 19 თებერვალს დირექტორმა, მრჩეველთა საბჭოს მხარდაჭერით, გააუქმა ახალი ამბების საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილის შტატი და მაია მერკვილაძე გადაიყვანა რადიო მაუწყებლობის სამსახურში, რითაც სრულიად ჩამოაშორა საინფორმაციო სამსახურს. კერძოდ, ახალი მენეჯმენტის პირობებში, რომლის მიმართაც მაია მერკვილაძე კრიტიკულად იყო განწყობილი, ჩატარდა რეორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ 4 თანამშრომელს შეეხო. გაუქმდა 4 თანამდებობა, მათ შორის მაიას მიერ დაკავებული პოზიცია. თუმცა, ყველა ხსენებული თანამშრომელი, მაია მერკვილაძის გარდა, ახლად შექმნილ შტატზე დასაქმდა. ამდენად, მალევე გამოჩნდა, რომ ჩატარებული რეორგანიზაცია იყო ხელოვნური პროცესი, რომელიც მხოლოდ მაია მერკვილაძის საინფორმაციო სამსახურიდან ჩამოშორებას და სხვა თანამდებობაზე გადაყვანას ისახავდა მიზნად.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ამბების საინფორმაციო სამსახურის მოადგილის შტატის გაუქმების შედეგად მაუწყებელში შეიქმნა არსებითად მსგავსი ფუნქციების მატარებელი პოზიცია, 2020 წლის 24 თებერვალს მაია მერკვილაძეს აჭარის ტელევიზიის დირექტორმა შესთავაზა მთავარი საზოგადოებრივი პოლიტიკური ტოკ-შოუს პროდიუსერ/რედაქტორის და რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის პოზიციები. არცერთი შემოთავაზებული არ წარმოადგენდა ტოლფას პოზიციას, მაგრამ მაია იძულებული გახდა დათანხმებოდა. შედეგად, 2020 წლის 24 თებერვალს იგი დაინიშნა რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის შტატგარეშე პოზიციაზე განუსაზღვრელი ვადით.

2020 წლის 25 მარტს მაიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი სხვა პოზიციაზე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.

სასამართლოში დავის წამოწყება მაიას დევნის და შევიწროების დამატებითი მიზეზი გახდა. ტელევიზიაში და განსაკუთრებით კი ახალი ამბების სამსახურში მიმდინარე სწრაფი და მოულოდნელი ცვლილებების გამო, უსამართლობის განცდა გაუჩნდა არა მხოლოდ მაია მერკვილაძეს, არამედ მთელ გუნდს, რაც არაერთხელ გამოხატეს საჯაროდაც. ჟურნალისტებისთვის სტრესული გარემოს შესამსუბუქებლად, ახალი ამბების გუნდმა მენეჯმენტს სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ორი კანდიდატურა წარუდგინა, რომლებსაც ხელმძღვანელობით თანამდებობებზე მნიშვნელოვანი და მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ. თუმცა, 2020 წლის 4 მარტს დირექტორმა მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა გიორგი აბაზაძე, პირი, რომელსაც მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა.

დირექტორის აღნიშნული გადაწყვეტილებით საინფორმაციო სამსახურის გუნდი უკმაყოფილო დარჩა. 2020 წლის 6 მარტს გიორგი აბაზაძემ, ჟურნალისტებთან შეთანხმების გარეშე, სიუჟეტების დაგეგმვა დაიწყო, რამაც გუნდში გაურკვევლობა გამოიწვია. ჟურნალისტები გიორგი აბაზაძეს სთხოვდნენ აეხსნა, იყო თუ არა ზეწოლის შედეგი მისი თანხმობა მენეჯმენტის შეთავაზებაზე. ასევე, თვლიდა თუ არა უსამართლოდ დირექტორის გადაწყვეტილებას მაია მერკვილაძისა და შორენა ღლონტის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მაია მერკვილაძემ გიორგი აბაზაძეს უთხრა, რომ მას საკუთარი მომავლისთვის უკეთესი პოზიცია უნდა აერჩია.

2020 წლის 6 მარტს, გიორგი აბაზაძესა და საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებს შორის მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე საათში, დირექტორის გადაწყვეტილებით, ყოველგვარი შესწავლა-გამოკვლევის გარეშე დაიწყო დისციპლინური დევნა რამდენიმე თანამშრომლის, მათ შორის მაია მერკვილაძის წინააღმდეგ. 2020 წლის 13 მარტს გიორგი აბაზაძეზეს ფსიქოლოგიური ზეწოლის, ბულინგისა და სამუშაო პროცესის შეფერხებისათვის მაია მერკვილაძეს საყვედური გამოუცხადეს. აღნიშნულ ბრალდებები აშკარად დაუსაბუთებელი ჩანდა, რადგან მაია მერკვილაძეს გიორგი აბაზაძესთან ზემოაღნიშნული მცირე რეპლიკის გარდა დამატებითი კომუნიკაციაც კი არ ჰქონია. ნიშანდობლივია, რომ სახდელის დაკისრების ბრძანებებში არ არის მითითებული კონკრეტულად რაში გამოიხატა მაია მერკვილაძის მხრიდან ბულინგი და კონკრეტულად რა მტკიცებულებების საფუძველზე მიიღო დირექტორმა ეს გადაწყვეტილება.

2020 წლის 13 აპრილს მაია მერკვილაძემ კვლავ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ნიშანდობლივია, რომ

ამ სასამართლო დავაში მონაწილეობის გამო მაუწყებელმა მაია მერკვილაძის მიმართ ახალი დისციპლინური დევნა დაიწყო. კერძოდ, 2022 წლის 20 აპრილს მაუწყებლის დირექტორის თანაშემწემ მოხსენებითი ბარათით მიმართა დირექტორს და მოითხოვა მაიას მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება. მის მოხსენებით ბარათში მითითებული იყო, რომ დასაქმებული სასამართლო სხდომაზე იმყოფებოდა დროებითი შრომისუუნარობის საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში . 2022 წლის 06 მაისს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის N02-09/50 ბრძანებით ზემოაღნიშნული დისციპლინური წარმოება უსაფუძვლობის გამო შეწყდა. ეს ინციდენტიც ნათლად აჩვენებს, რომ მაუწყებლის მხრიდან მაია მერკვილაძის შრომითი უფლებების სისტემატური დარღვევა, ჟურნალისტურ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება, საქმიანობაში ჩარევა განგრძობად ხასიათს ატარებს.

1.1.2. შორენა ღლონტის საქმე

შორენა ღლონტი 2014 წლიდან იყო დასაქმებული მაუწყებელში ახალი ამბების სამსახურის უფროსის პოზიციაზე. სარედაქციო პოლიტიკაში უხეში ჩარევის, თანამშრომელთა დევნისა და მათი საქმიანობის უკანონო ხელყოფის პროცესში, 2020 წლის 28 თებერვალს, თვითნებური და უსაფუძვლო დისციპლინური დევნის შემდეგ, დირექტორმა სამსახურიდან შორენა ღლონტიც გაათავისუფლა.

შორენა ღლონტის დისციპლინური წარმოება დაიწყო ეთერში გასული გადაცემის - ,,ახალი სივრცის“ გამო, რომელიც განხორციელდა შორენა ღლონტსა და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ფილიალს შორის 2019 წლის 28 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ეს გადაცემა მაშინდელი ხელმძღვანელობის მითითებით/ინიციატივით და უშუალოდ მათთან შეთანხმებით მომზადდა, ხოლო შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა მაუწყებელს. დისციპლინარული წარმოება დაიწყო ფაქტიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ, მაშინ როდესაც აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაგანაწესით, დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია შეტყობიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, დისციპლინური წარმოების ფარგლებში საკითხი ჯეროვნად არ გამოკვლეულა, სათანადო მტკიცებულებები არ მოპოვებულა, მეტიც - შორენა ღლონტს არ მიეცა დასაბუთებული პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა.

მიუხედავად დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის - სამსახურიდან გათავისუფლება - დაკისრებისა, 2020 წლის 2 მარტს დირექტორის №02-05/21 ბრძანებით, შორენა ღლონტი განუსაზღვრელი ვადით დაინიშნა მაუწყებლის კონსულტანტის თანამდებობაზე ვებგვერდისა და სოციალური მედიის მიმართულებით.

2020 წლის 27 მარტს შორენამ სარჩელით მიმართა სასამართლოს მისი საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. 2022 წლის 22 აპრილს, როგორც კი აღნიშნული ფაქტი შეიტყო, დირექტორმა თვითნებურად და ცალმხრივად ცვლილება შეიტანა 2020 წლის 2 მარტის №02-05/21 ბრძანებაში და შორენა ღლონტთან შრომითი ურთიერთობის ვადად 2020 წლის 2 ივნისამდე პერიოდი განსაზღვრა. 2020 წლის 2 ივნისს კი შორენა კვლავ გაათავისუფლა სამსახურიდან.

შორენა ღლონტმა ამ შემთხვევაშიც მიმართა სასამართლოს უკანონო გათავისუფლებისა და მის ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის გამო. ორწლიანი განხილვების შემდეგ, 2022 წლის 22 ივლისს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ შორენა ღლონტის გათავისუფლება (ორივე შემთხვევაში) უკანონოდ მიიჩნია და საზოგადოებრივ მაუწყებელს 20 000 ლარის ოდენობით კომპენსაციისა და სახელფასო განაცდურის გადახდა დააკისრა. დავის გაჭიანურების მიზნით მაუწყებელმა ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა.

1.2. 3. თეონა ბაკურიძის საქმე

თეონა ბაკურიძე 2017 წლის იანვრიდან მუშაობდა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის წამყვან-რეპორტიორის პოზიციაზე. კრიტიკული და მისთვის მიუღებელი შეხედულებების გამო გიორგი კოხრეიძის მხრიდან განხორციელდა თეონა ბაკურაძის დევნა, რაც მის მიმართ

დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ დაკისრებაში და სამსახურიდან გათავისუფლებაში გამოიხატა. კერძოდ, ჯერ კიდევ 2019 წლის 22 ნოემბერს გიორგი კოხრეიძემ მასთან ეთერში სტუმრობისას თეონა ბაკურიძეს კრიტიკული ტონი და რესპოდენტებთან ოპონირების სტილი დაუწუნა. თეონა ბაკურიძე ღიად აფიქსირებდა მაუწყებლის ახალი დირექტორის მიმართ კრიტიკას მის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან და თანამშრომლებთან გამოვლენილი უკანონო ქმედებების გამო. მან აგრეთვე საჯაროდ გამოხატა პროტესტი ახალი ამბების სამსახურის უფროსის, შორენა ღლონტის დაუსაბუთებლად გათავისუფლებისა და გიორგი აბაზაძის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის გამო.

2020 წლის 5 მარტს სამსახურის ახალი უფროსის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი აბაზაძე დაინიშნა. 6 მარტს მან დამოუკიდებლად, ჟურნალისტებთან შეუთანხმებლად დაიწყო სამუშაო დღის დაგეგმვა, სამუშაო თემების შერჩევა. აღნიშნულთან დაკავშირებით თეონა ბაკურიძემ, სხვა თანამშრომლებთან ერთად, გიორგი აბაზაძეს დაუსვა კითხვა, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და ჰქონდა თუ არა შესაბამისი კომპეტენცია და თვლიდა თუ არა სამართლიანად მაუწყებლის დირექტორის მოქმედებებს. აღნიშნულის შემდგომ, 2020 წლის 6 მარტს, თეონა ბაკურიძემ მისი გადაცემა ,,მთავარის“ ეთერში გასვლამდე ერთი საათით ადრე შეიტყო, რომ დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე და გამოიყენა დისციპლინური სანქცია ეთერიდან ჩამოშორების ფორმით, 2020 წლის 13 მარტს კი მან თეონა სამსახურიდან გაათავისუფლა 6 მარტს ,,მომხდარი ფაქტის“ გამო - დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის საფუძვლით. დირექტორის მიერ გაცემული ბრძანებით არ დგინდება, რაში გამოიხატება თეონა ბაკურიძის მიერ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ვალდებულების უხეშად დარღვევა და რა საფუძვლით იქნა გამოყენებული მის მიმართ უკიდურესი დისციპლინური ღონისძიება.

2020 წლის მარტში თეონა ბაკურიძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასმაართლოს. დავა დღემდე გრძელდება.

1.2.4. თეონა ხარაბაძის საქმე

თეონა ხარაბაძე 2013 წლიდანაა დასაქმებული მაუწყებელში კორესპოდენტის პოზიციაზე. ამ წლიდან მოყოლებული თეონა მაუწყებელში აშუქებდა ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემას დამოუკიდებლად, მიუკერძოვებლად და კრიტიკულად.

ტელევიზიაში 2019 წლის ნოემბრიდან დაწყებული უკანონო პროცესების, მათ შორის გიორგი აბაზაძის დანიშვნასთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატვისა და სხვა ჟურნალისტების მხარდაჭერის გამო, დირექტორმა თეონა ხარაბაძე ტელევიზიას პრაქტიკულად ჩამოაშორა. დირექტორის 2020 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით, სრულიად მოულოდნელად იგი ქუთაისში, არარსებულ ბიუროში იქნა გადაყვანილი. იმ პერიოდში, როდესაც პარლამენტი ქუთაისში ფუნქციონირებდა, თეონა საპარლამენტო კორესპონდენტად მუშაობდა. მისი სამუშაო მოვალეობა ქუთაისში კვირაში 1-2 დღით ჩასვლით და პარლამენტის სხდომების გაშუქებით შემოიფარგლებოდა. ხოლო პარლამენტის თბილისში გადატანის შემდგომ, ქუთაისში მას არანაირი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეუსრულებია. აღსანიშნავია, რომ მენეჯმენტმა თეონა ხარაბაძეს ოპერატორიც არ დაუნიშნა და მხოლოდ რადიოსა და ვებ გვერდის მიმართულებით მუშაობა დაავალა, ამასთან სხვა ქალაქში გადასასვლელად 2 დღე (25 მარტამდე) განუსაზღვრა.

იმ შემთხვევაში, თუ თეონა ხარაბაძე გადავიდოდა ქუთაისში, ის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას პრაქტიკულად ჩამოშორდებოდა. ამასთანავე, დირექტორისთვის ცნობილი იყო, რომ თეონა ხარაბაძეს ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი და ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ შეძლებდა ქუთაისში მუშაობას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იქ ცხოვრების სათანადო პირობა არ ჰქონდა (საცხოვრებელიც არ გააჩნდა).

თეონამ არაერთხელ სთხოვა დირექტორს შეეცვალა გადაწყვეტილების შეცვლა, თუმცა იგი დღემდე არ ცვლის თავის განზრახვას და თეონას სამსახურის დატოვებას აიძულებს.

2020 წლის 13 აპრილს თეონა ხარაბაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევის აღკვეთა, სამუშაო ადგილის შეცვლის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. ნიშანდობლივია, რომ დავის პროცესშიც სისტემატურად გრძელდება თეონას საქმიანობის შეზღუდვა, მისი დისციპლინური დევნა, რამაც დავის ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნების დამატების საჭიროება გააჩინა. 2022 წლის 02 თებერვალს დირექტორმა გასცა ბრძანება N02-09/13 თეონასთვის სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების დაკისრების შესახებ, რომელიც ასევე გასაჩივრდა სასამართლოში.

დღეის მდგომარეობით, ორ თვეზე მეტია თეონა ხარაბაძე არ ფიგურირებს მაუწყებლის არცერთ სამუშაო გრაფიკში. მიუხედავად მისი თხოვნისა, დაევალოს ბათუმში რეპორტიორის მოვალეობების შესრულება და მზადყოფნისა, საჭიროების შემთხვევაში, საქმის სპეციფიკისა და დროის გათვალისწინებით ქუთაისშიც ჩავიდეს, დირექტორს ურჩევნია, რომ თეონა ხარაბაძის რესურსი პრაქტიკულად არ გამოიყენოს, რათა არ მისცეს მას მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქების უფლება.

1.2.5. სოფიო ჟღენტის საქმე

სოფიო ჟღენტი 2018 წლიდან იკავებდა მაუწყებლის ონლაინ მედიის სამსახურის უფროსის პოზიციას. ეს სამსახური ონლაინ რეჟიმში აქვეყნებდა ახალ ამბებს. აღსანიშნავია, რომ სოფიო ჟღენტს ახალი ამბების კუთხით მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება აქვს და ამ ხნის მანძლზე მისი პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ არასდროს დამდგარა.

2020 წლის აპრილისთვის მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურების ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფი ყველა ძველი თანამშრომელი ჩამოაშორეს საქმიანობას და ამ მიმართულებით ყველა ძირითადი თანამდებობა დირექტორის მიერ არჩეულმა/დანიშნულმა პირებმა დაიკავეს. მაუწყებელში ახალი ამბების დამოუკიდებლად გავრცელების ერთადერთ წყაროდ ონლაინ მედია სამსახური რჩებოდა. სამსახური აქტიურად აშუქებდა 2019 წლის ნოემბრიდან მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებსაც.

2020 წლის 8 აპრილს №02-03/09 ბრძანებით, სოფო ჟღენტთან შეთანხმების გარეშე, დირექტორმა შეცვალა ონლაინ მედიის სამსახურის დებულება, ჩამოაშორა საინფორმაციო ხასიათის (ახალი ამბების) კონტენტის განთავსების უფლება და მხოლოდ ონლაინ სამსახურის სოციალური მენეჯერის და მასალების საიტზე ატვირთვის კონტროლის ფუნქცია დაუტოვა. აღნიშნულის შედეგად არსებითად შეიცვალა სოფიო ჟღენტის სამსახურებრივი მოვალეობები და ის მაუწყებლის სარედაქციო საქმიანობას ჩამოშორდა. ამდენად, დირექტორმა სოფო ჟღენტთან შეთანხმების გარეშე შეცვალა ხელშეკრულების არსებითი პირობები, შესასრულებელი სამუშაოს არსი. დირექტორის გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა სოფო ჟღენტის მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკიდან ჩამოცილებას და მის მიმართ ლოიალურად განწყობილი კადრებით ჩანაცვლებას. პრაქტიკულად, დირექტორის მიერ განხორციელდა სამსახურის რეორგანიზაცია, მრჩეველთა საბჭოს გვერდის ავლით, რაც ასევე მაუწყებლის დებულების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

2020 წლის 8 მაისს სოფიო ჟღენტმა სარჩელით მიმართა სასამართლოს №02-03/09 ბრძანების ბათილად ცნობის და მის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევის აღკვეთის მოთხოვნით.

1.2.6. ქცევის ახალი წესები და ცენზურის დაწესების მცდელობა რედაქციის მხრიდან

მაუწყებლის დირექტორს არ მოსწონდა, რომ თანამშრომლები სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად აკრიტიკებდნენ მის გადაწყვეტილებებს, რასაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ ამ ამბების აქტიური გაშუქება სდევდა ხოლმე თან. ამ „პრობლემის“ მოგვარების მიზნით, 2020 წლის 8 აპრილს მან თანამშრომლების ინფორმირების გარეშე გასცა №02-03/10 ბრძანება – სსიპ „საზოგადოებრივი

მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ დამტკიცების შესახებ, რომლითაც მაუწყებლის თანამშრომლებს სოციალურ ქსელში მაუწყებლის ნებისმიერი სახით კრიტიკა და პროტესტის გამოხატვა აეკრძალა.

ამ წესების ამოქმედების შემდგომ არაერთი თანამშრომლის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა, რაც სახდელის დაკისრებით, საქმიანობიდან მათი ჩამოშორებით და ზოგ შემთხვევაში სამსახურიდან გათავისუფლებითაც კი სრულდებოდა.

2020 წლის 20 მაისს მაუწყებლის რამდენიმე თანამშრომელმა (ირაკლი ყურუა, ვანცენტ ხაბეიშვილი) და პროფკავშირმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს ხსენებული ქცევის წესების გაუქმების მოთხოვნით. ნიშანდობლივია, რომ ამ დავის მიმდინარეობის პროცესში, 2020 წლის 24 ნოემბერს, მაუწყებლის დირექტორის №02-03/46 ბრძანებით, გასაჩივრებულ ქცევის წესებში არსებითი ცვლილებები შევიდა - ამკრძალავი ნორმების დიდი ნაწილი კორექტირდა. თუმცა, გარდა იმისა, რომ ბუნდოვან და ორაზროვან ჩანაწერებს შეიცავს, ახალი წესები სრულიად კრძალავს თანამშრომლების მხრიდან პოლიტიკური პრეფერენციების გამოხატვას.

1.2.7. მალხაზ რეხვიაშვილის საქმე

მალხაზ რეხვიაშვილი 2017 წლიდან 2020 წლის 11 მაისამდე დასაქმებული იყო მაუწყებელში საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის საღამოს გადაცემების წამყვანისა და რეპორტიორის თანამდებობაზე. ის ასევე იკავებს ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარის პოზიციასაც. როგორც ტელევიზიის აქტიური და კრიტიკული თანამშრომელი იგი საჯაროდ და ღიად აკრიტიკებდა მაუწყებლის დირექტორის, გიორგი კოხრეიძის გადაწყვეტილებებსა და ბოლო პერიოდში მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს.

2020 წლის 11 მაისს მალხაზ რეხვიაშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან მაუწყებლის დისკრედიტაციისა და ცილისწამების ბრალდებით. კერძოდ, მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა სოციალურ ქსელში 2020 წლის 21 აპრილს მაუწყებლის ერთ-ერთი თანამშრომლის მხარდამჭერი და მაუწყებლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკის შემცველი განცხადების (ე.წ. პოსტის) განთავსება. მასში მალხაზ რეხვიაშვილი აკრიტიკებდა დირექტორის მიერ ამ თანამშრომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეზღუდვისა და მისი ტელეეთერიდან ჩამოშორების ფაქტს.

მ. რეხვიაშვილმა საკუთარი უფლებების დასაცავად 2020 წლის 11 ივნისს სასამართლოს მიმართა, მოითხოვა მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და უკანონო განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სასამართლოში საქმის განხილვა დღემდე მიმდინარეობს და მაუწყებლის განუწყვეტელი მცდელობის შედეგად მუდმივად ჭიანურდება. 2022 წლის 20 ივლისს ჩანიშნულ პირველ მოსამზადებელ სხდომაზე მაუწყებელმა, სხდომის გადადების მიზნით, სრულიად შეუსაბამო და ხანდაზმულ მოთხოვნაზე შეგებებული სარჩელი შეიტანა. კერძოდ, მაუწყებელმა მოითხოვა 2020 წლის 21 აპრილს მალხაზ რეხვიაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის (ე.წ. პოსტი) ცილისწამებად აღიარება და მისთვის თავისივე განცხადებების უარყოფის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

1.3. ზემოთ აღნიშნული საქმეების სამართლებრივი შეფასება

2019 წლიდან დღემდე აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენები მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის და მაუწყებლის თანამშრომელთა შრომითი უფლებების უხეში დარღვევის ნათელი მაგალითია. ამ პერიოდში მაუწყებელი დაატოვებინეს/დატოვება მოუწია პრაქტიკულად ყველა იმ პირს, რომელსაც მაუწყებელში სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელი ან

განმახორციელებელი პოზიციები ეკავა. მაუწყებლის დირექტორი რეორგანიზაციას, ხელშეკრულების ცვლილებებს და დისციპლინურ წარმოებას იყენებს, როგორც ინსტრუმენტს მისთვის არასასურველი თანამშრომლების საქმიანობაში ჩარევის და მათი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკიდან ჩამოშორების, განთავისუფლების ან სხვა პოზიციაზე გადაყვანის გზით. მისი ქმედებები და გადაწყვეტილებები შეუთავსებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა და საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციებთან, ადამიანის ძირითად უფლებებთან (მათ შორის, შრომის, ინფორმაციის და გამოხატვის თავისუფლებასთან) და შრომითსამართლებრივ წესრიგთან.

1.3.1. საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპების დარღვევა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევა

პირველ რიგში, აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც სამაუწყებლო მედია ასრულებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში. 1982 წლის 29 აპრილის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ დეკლარაციის თანახმად, დემოკრატიულ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის დამოუკიდებელი და ავტონომიური საშუალებების ისეთი ფართო სპექტრის არსებობა, რომელიც მრავალფეროვანი იდეების და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, ერთი მხრივ, გარანტირებულია ინფორმაციის თავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერატიულადაა აკრძალული ცენზურა. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს თითოეული მათგანის დაცვა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით, „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.“

საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი მიზანია თავის პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით), მიაწოდოს მოსახლეობას ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავისუფალი და ინდივიდუალური აზრის ჩამოყალიბების წინაპირობა გახდება.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი თანამდებობის პირი და თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება - ბათილი. ჩარევად ითვლება ნებისმიერი ქმედება, ან უმოქმედობა, მათ შორის კანონით გათვალისწინებული, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მაუწყებლის ან თანამშრომლის დამოუკიდებლობის შეზღუდვას ან საფრთხეს უქმნის აღნიშნულს და ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სამ ძირითად უფლებას - ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). აღნიშნული უფლებით პირდაპირ არის დაცული მედია (და მისი თანამშრომლები), როგორც გამოხატვის თავისუფლებით აღჭურვილი სუბიექტი და მისი საქმიანობა გარანტირებულია შესაბამისი ნორმით. ანალოგიურია ევროპული სასამართლოს მიდგომაც, რომელმაც ერთ-ერთ საქმეზე Lingens v. Austria უტყუარად მიიჩნია, რომ მედიის გამოხატვის თავისუფლება დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

გასათვალისწინებელია, რომ მაუწყებლის თანამშრომელთა საქმიანობის და გამოხატვის შეზღუდვა კანონმდებლობის უხეში დარღვევას წარმოადგენს, რადგანაც სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომლის ფარგლებშიც უფლების სუბიექტს შეუძლია საზოგადოების ფართო წრეებში გაავრცელოს არა მხოლოდ სასიამოვნო, არამედ სკანდალური

ინფორმაციაც. მასმედიას უფლება აქვს, გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელზეც დიდია საჯარო ინტერესი. აღნიშნული განმარტება ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე "სანდეი თაიმსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ" (the Sunday Times v. the UK) მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, დიდი ბრიტანეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (რომლითაც დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და სანდეი თაიმს სასამართლო დავის დასრულებამდე შეეზღუდა გახმაურებული საქმის გაშუქება) კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად იქნა მიჩნეული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ სხვა საქმეშიც[18] უსვამს ხაზს პრესის განსაკუთრებულ როლს, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე. სასამართლოს აზრით, საზოგადოების სრულად ინფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მყარად იქნება დაცული მედიის პლურალიზმისა და დამოუკიდებლობის პრინციპი, რის მთავარი გარანტორიც სახელმწიფოა. სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა პლურალისტური მედიის გარეშე, ვინაიდან დემოკრატია ჩანასახშივე ეფუძნება გამოხატვის თავისუფლების პრინციპს. გამოხატვის თავისუფლება კი, თავის მხრივ, გულისხმობს მედიაში განსხვავებული კრიტიკული და მრავალფეროვანი პოლიტიკური გადაცემების თანაარსებობას, რომლებშიც განხილული და გაკრიტიკებული იქნება ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება და სახელმწიფო მოწყობა. სასამართლო ცალსახად უსვამს ხაზს, რომ მედიის თავისუფლების არსს ეწინაღმდეგება მედიის სარედაქციო პოლიტიკის ავტონომიის დაკარგვა,[19] ვინაიდან მედია, როგორც საზოგადოების მთავარი მცველი და ინფორმატორი,[20] დიდწილად განსაზღვრავს დემოკრატიის, დამოუკიდებლობის და პლურალიზმის ხარისხს სახელმწიფოში. ამდენად, ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, რაც გამყარებულია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. ჩარევაში იგულისხმება არა მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, ზღუდავს ჟურნალისტური საქმიანობის დამოუკიდებლობას და იწვევს საქმიანობაში ჩარევას, არამედ ისეთიც, რომელიც, მართალია კანონმდებლობის შესაბამისად არის მიღებული და მიზნად ისახავს გარკვეული სამართლებრივი მიზნის მიღწევას, მაგრამ იწვევს მედიის და ჟურნალისტური საქმიანობაში არაპროპორციულ ჩარევას.

ზემოთ მიმოხილულ ყველა საქმეში მაუწყებლის დირექტორი, სამართლებრივი ბერკეტების ბოროტად გამოყენების გზით, ცდილობს თანამდებობებს ჩამოაშოროს ის პირები, რომლებიც გასაზღვრავენ, აყალიბებენ და ახორციელებენ სარედაქციო პოლიტიკას. მის მიერ გატარებული შიდაორგანიზაციულ ცვლილებათა აბსოლუტური უმეტესობა ეხება სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საინფორმაციო სამსახურებს (იძულებულ გახდა სამსახურიდან წასულიყო დირექტორის პირველი მოადგილე, რომელიც სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო; განთავისუფლებულ იქნა ასევე საინფორმაციო სამსახურის უფროსი შორენა ღლონტი; შტატების შემცირების გამო განთავისუფლდა მისი მოადგილე მაია მერკვილაძე, რომელიც მთავარი რედაქტორის მოვალეობებსაც ითავსებდა; სხვადასხვა მეთოდებით და დისციპლინური წარმოებებით გაანთავისუფლეს ან სხვა პოზიციებზე გადაიყვანეს მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის არაერთი თანამშრომელი), რომლებშიც არსებულ შტატებზე მისდამი লოიალურად განწყობილი პირების დანიშვნას ცდილობს. **ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში მაუწყებელი უხეშად ჩაერია და ერევა ჟურნალისტურ საქმიანობაში, ცდილობს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკის პროსახელისუფლებოდ გადაქცევას,**

---

[18] CASE OF NIT S.R.L. v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, 5 April 2022; CASE OF NIT S.R.L. v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, 05/04/2022;

[19] CASE OF ATV ZRT v. HUNGARY, (Application no. 61178/14), 28/07/2020;

[20] Barthold v. Germany, 25/04/1985, § 58; Financial Times Ltd and others v. UK, №821/03, § 59, 15/12/2009;

კონკრეტული ადამიანების დისკრიმინაციის, შრომითი უფლებების შელახვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე.

1.2.2. შრომის უფლების და გამოხატვის თავისუფლების შელახვა, დისკრიმინაცია შეხედულებების და პროფკავშირის წევრობის გამო

შრომის უფლება მოიცავს შესაძლებლობას მოიპოვო საარსებო სახსრები შრომით, მიიღო შრომის სამართლიანი, თანასწორი პირობები, განახორციელო და შეინარჩუნო სამუშაო, დაცული იყო სამსახურიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისგან და ა. შ. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის შესაბამისად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. ევროპის სოციალური ქარტიის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის [1]1876_რს დადგენილებით) I ნაწილის მე-20 და 24-ე პუნქტების შესაბამისად, ყველა მუშაკს აქვს თანასწორი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება დასაქმების შემთხვევაში; ყველა მუშაკს აქვს დაცვის უფლება მისი დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით [...] წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის **სამართლიანი და ხელსაყრელი** პირობები.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ (შემდგომში - შრომის კოდექსი) ადგენს დასაქმებულის უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტებს. კერძოდ, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. შრომით ურთიერთობებში **აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია** რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, **პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების,** ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან **სხვა შეხედულების გამო** ან სხვა ნიშნით. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძვლით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (საქართველო შეუერთდა 1995 წლის 4 მაისს), ასევე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს შეხედულების გამო დისკრიმინაციასაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **ის შეხედულებები თუ ქმედებები, რომელთა გამოც მაუწყებელმა სამსახურიდან გაათავისუფლა ან/და დისციპლინური სახდელი დააკისრა თანამშრომლებს, სრულად დაცულია დასაქმებულის გამოხატვის თავისუფლებით.** კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის შესაბამისად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას: ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი და ძირითადი წინაპირობაა მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისთვის. ის მოიცავს არა მარტო ინფორმაციას და იდეებს, რომლებიც ხელსაყრელად მიიღება ან მიჩნეულია, არამედ აგრეთვე იმ ინფორმაციისაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკისმომგვრელია და ამაღელვებელი. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართოდ ხედვის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.[21]

დასაქმებულის შეხედულებები, მისი მოსაზრებები ან/და მისი ქცევები შესაძლოა არ იყოს მოსაწონი, მისაღები დამსაქმებლისთვის, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს დასაქმებულის თავისუფლებას გააჩნდეს და გამოხატოს საკუთარი კრიტიკული აზრი. შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის ძირითადი უფლებების სათანადო რეალიზების უზრუნველყოფა. ამასთან, მუშაკთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შესაძლოა მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს სხვა დასაქმებულთათვის.[22] უფლების შეზღუდვის თუნდაც ერთი პრეცედენტის დაშვება საზიანო შეიძლება იყოს არა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულისათვის, არამედ სხვა დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის სამომავლო განვითარებისთვის.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველმა მაუწყებლის არაერთი თანამშრომლის შემთხვევაში დაადგინა დისკრიმინაცია (შეხედულებების, განსხვავებული მოსაზრებების და პროფესიულ კავშირის წევრობის გამო), კანონდარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების, შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები და წერილობითი რეკომენდაციებით მიმართა მაუწყებელს, ბათილად ეცნო მიღებული გადაწყვეტილებები და აღედგინა საკუთარი თანამშრომლების დარღვეული უფლებები. უკანონოდ იქნა მიჩნეული მაია მერკვილაძის, მალხაზ რეხვიაშვილის, სოფიო ჟღენტის და შორენა ღლონტის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები, ხოლო თეონა ხარაბაძის და თეონა თურმანიძის მიმართ დადგინდა პირდაპირი დისკრიმინაცია განსხვავებული მოსაზრებების და პროფკავშირში წევრობის გამო.[23]

ხსენებული საქმეების შეფასებისას სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ სახეზე იყო ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში. მაგალითად, თეონა თურმანიძეს ხელი შეეშალა გამოხატვის თავისუფლებითა და შრომითი უფლებებით სარგებლობაში. თეონა თურმანიძის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა განმცხადებლის უფლებებში ჩარევას გამოხატვის თავისუფლებით დაცული აზრის გამო, რაც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს - სხვა შეხედულებას უკავშირდება. მისი ეთერიდან ჩამოშორება წარმოადგენდა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, რაც, თავის მხრივ, დასაქმებულის შრომითი უფლებების დარღვევის საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, მაუწყებელმა თეონა ხარაბაძეს შეუცვალა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, რაც წარმოადგენდა მის შრომით უფლებებში ჩარევას განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ

---

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე Kudeshkina v Russia, no 294992/05;

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე Morice v France, No 29369/10;

[23] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 24 აპრილის №04-2/4408 და 2020 წლის 24 აგვისტოს №13-3/8363 რეკომენდაციები; საქართველოს სახალხო დამცველი განცხადება (ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-acharis-televiziashi-mimdinare-movlenebs-ekhmaureba);

მაუწყებელს სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო დისკრიმინაციის გამოსარიცხად არგუმენტებიც კი არ წარმოუდგენია.[24]

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება. საქართველოს შრომის კოდექსი გაერთიანების თავისუფლების თავში შეიცავს სპეციალურ დათქმას დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც აკრძალულია დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო. პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლითაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლი მოიცავს პროფესიული კავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციისგან დაცვასაც, რადგან ამ ტიპის შეზღუდვა წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დარღვევას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს პროფესიული კავშირის არსებობაზე.

1.2.3. სასამართლოს როლი

საგულისხმოა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მაუწყებლის წინააღმდეგ დავების განხილვის გაჭიანურება მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მაუწყებლის მიზანმიმართული ქმედებები, ნებისმიერი საპროცესო მექანიზმის ფორმალურად გამოყენებით მოითხოვონ საქმის გადადება, მეორე მხრივ, მოსარჩელეების მიმართ დევნის მიმდინარე უწყვეტი პროცესი, რომელიც საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის ახალი გარემოებების და მოთხოვნების დამატების საჭიროებას აჩენს. ამ პირობებში არსებითად მნიშვნელოვანია, სასამართლომ ეს დავები დაინახოს ერთიან კონტექსტში, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიზირების, მისი სარედაქციო პოლიტიკის არსებითი შეცვლის და ჟურნალისტური საქმიანობის ხელყოფის ერთობლივი პროცესი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გამოიყენოს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ყველა საპროცესო მექანიზმი (სარჩელის უზრუნველყოფა, დაუყოვნებლივი აღსრულება და სხვა) და დაჩქარებულ ვადებში განიხილოს თითოეული დავა, რათა დროულად შეწყდეს დასაქმებულთა მუშაობაში უფლებების შეზღუდვის, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელყოფის მიმდინარე პროცესები.

დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შემთხვევებზე სასამართლო კონტროლის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც ის ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებზე.[25] მნიშვნელოვანია შეიქმნას სასამართლო პრეცედენტი, რომელიც დაუშვებლად სცნობს კრიტიკული შეხედულებების, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საქმიანობის, პროფკავშირის წევრობის გამო ჟურნალისტების (და მაუწყებლის სხვა თანამშრომლების) სამსახურიდან გათავისუფლებას/დისციპლინურ დევნას, ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევას, როგორც ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლის, ჟურნალისტური საქმიანობის დამოუკიდებლობის და შრომით ურთიერთობებში ადამიანის ძირითადი უფლებების თავისუფალი რეალიზების, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების უხეში ხელყოფის ფაქტებს.

1.4. გათავისუფლების, შევიწროებისა და დევნის შედგეები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მაუწყებლის მიერ მალხაზ რეხვიაშვილის, შორენა ღლონტის და მაია მერკვილაძის დაკავებული პოზიციებიდან გათავისუფლება, სოფიო ჟღენტის და თეონა

---

[24] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 24 აგვისტოს №13-3/8363 რეკომენდაცია;

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე Animal defenders international v the UK, no 48876/08;

ხარაბაძის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილება, მაია მერკვილაძის და თეონა ხარაბაძისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

ზემოთ მიმოხილულ ყველა საქმეში მაუწყებლის დირექტორი, სამართლებრივი ბერკეტების ბოროტად გამოყენების გზით, ცდილობს თანამდებობებს ჩამოაშოროს ის პირები, რომლებიც გასაზღვრავენ, აყალიბებენ და ახორციელებენ სარედაქციო პოლიტიკას. მის მიერ გატარებული შიდაორგანიზაციულ ცვლილებათა აბსოლუტური უმეტესობა ეხება სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საინფორმაციო სამსახურებს და მიზნად ისახავს კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას განსხვავებული მოსაზრებების ან პროფესიული კავშირის წევრობის გამო.

აღწერილი საქმეები არის მხოლოდ ნაწილი იმ სისტემატური და უკანონო ქმედებების ჯაჭვისა, რომელიც 2019 წლიდან დაიწყო, დღემდე გრძელდება და, საბოლოო ჯამში, არაერთი ადამიანის დისკრედიტაციის, დევნის, შევიწროების, დისკრიმინაციის, სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების გზით მაუწყებლობის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას ისახავს მიზნად.

2. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფკავშირის დაარსება

2020 წელს აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში თანამშრომელთა თვითორგანიზებული ჯგუფი სარედაქციო პოლიტიკისა და შრომითი უფლებების დაცვის მიზნით გაერთიანდა და ალტერნატიული პროფკავშირი დაარსა. კვლევის წინამდებარე თავში განხილული იქნება, თუ რა წინააღმდეგობებსა და გამოწვევებთან იყო დაკავშირებული ეს პროცესი, როგორი იყო არხის მენეჯმენტის დამოკიდებულება ალტერნატიული პროფესიული კავშირის შექმნასთან დაკავშირებით და ჰქონდა თუ არა ადგილი პროფკავშირის წევრების შევიწროვებასა თუ დევნას. ამასთანავე, განხილული იქნება ის ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც პროფკავშირებმა მაუწყებლის თანამშრომელთა ინტერესების დასაცავად გადადგა, მათთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზებისთვის.

2.1. ალტერნატიული პროფკავშირის დაფუძნება და კოლექტიური დავა

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფკავშირის დაფუძნებას წინ უძღოდა მრჩეველთა საბჭოს მიერ აჭარის მაუწყებლის დირექტორის, ნათია კაპანაძის იმპიჩმენტი და ახალი დირექტორის დანიშვნა, რაც ცხადყოფდა ხელისუფლების განზრახვას, შეეცვალა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა. ახალი დირექტორისა და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევისა და სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მოლოდინმა ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელთა მნიშვნელოვან ნაწილს გაერთიანებისა და პროფესიული კავშირის დაფუძნებისკენ უბიძგა. შედეგად, 2020 წლის 28 იანვარს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის 90-მდე თანამშრომელმა ალტერნატიული პროფკავშირი შექმნა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის მიზანი, სიტყვის თავისუფლებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პარალელურად, პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა იყო.[26]

სამწუხაროდ, ახალი მენეჯმენტის მხრიდან მაუწყებელში კრიტიკული აზრის ჩახშობისა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების შელახვასთან დაკავშირებული მოლოდინი გამართლდა. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალმა დირექტორმა ჯერ ტელევიზიის თანამშრომელთა საჯარო კრიტიკა, ხოლო მოგვიანებით ტელევიზიასა და რადიოში არსებული საშტატო ცვლილებების პროცესი წამოიწყო,

[26] „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2, ნაწილი 1.

რომლის ფარგლებშიც ადგილი ჰქონდა მაუწყებლის ძირითადი საქმიანობიდან კრიტიკული შეფასებების მქონე ღირებული კადრების ჩამოშორებას. კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლები დევნისა და შევიწროვების სამიზნე გახდნენ, ახალ კადრებად კი შერჩეულ იქნენ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილები პირები[27]. მაუწყებელში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ალტერნატიულმა პროფკავშირმა კოლექტიური შრომითი დავა გადაწყვიტა.

მოქმედი შრომის კანონმდებლობა გაფიცვის მექანიზმს მხარეთა შორის არსებული უთანხმოების გადაწყვეტის უკიდურეს მექანიზმად სახავს. იმისათვის, რომ ამ მექანიზმის გამოყენებით მხარეთათვის მიყენებული ზიანი მაქსიმალურად შემცირდეს, გაფიცვის უფლების წარმოშობამდე მხარეთათვის სავალდებულოა კოლექტიური დავის დაწყება და შემათანხმებელი პროცედურის გავლა. შემათანხმებელი პროცედურა კოლექტიური დავის მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკება ან მედიაციაა, რომელიც კოლექტიური დავის გადაწყვეტას ისახავს მიზნად.[28] კოლექტიური დავის დროს გაფიცვის უფლება წარმოიშობა მხარის მიერ მედიაციის დაწყების მიზნით მედიატორის დანიშვნის თაობაზე მინისტრისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 21 კალენდარული დღის გასვლისთანავე.

2020 წლის 2 მარტს პროფკავშირმა შეტყობინებით მიმართა მაუწყებლის ხელმძღვანელობას კოლექტიური შრომითი დავის დაწყების თაობაზე ოთხპუნქტიანი მოთხოვნით და ოფიციალურად წარადგინა საგაფიცვო დოკუმენტი. [29]

მნიშვნელოვანია, თუ რა მოთხოვნები ჰქონდა ალტერნატიულ პროფკავშირს. *inter alia*, ისინი ითხოვდნენ:

- საშტატო განრიგის ცვლილებებამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნებას (სტატუს-კვოს აღდგენას)[30];
- სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიებს;
- შრომითი უფლებების დაცვას, რაც მჭიდროდ უკავშირდებოდა სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიებს;
- მაუწყებლის განვითარების სტრატეგიული ხედვის შემუშავებას.

ალტერნატიული პროფკავშირების მოთხოვნები, ერთი მხრივ, ითვალისწინებდა შრომითი უფლებებისა და პირობების გაუმჯობესებას, ხოლო, მეორე მხრივ, დირექტორის არჩევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენასა და სარედაქციო დამოუკიდებლობისთვის შესაბამისი გარანტიების შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს კოლექტიურ დავაში მედიატორის დანიშვნის თაობაზე მოთხოვნა იმავე დღეს - 2020 წლის 2 მარტს - წარედგინა, სამინისტროს მიერ მედიატორი მხოლოდ 2020 წლის 18 მარტს დაინიშნა. ამ დროს ქვეყანაში კოვიდ სიტუაცია გამძაფრებული იყო, რის გამოც მედიატორმა ორივე მხარესთან ცალ-ცალკე მხოლოდ ერთი დისტანციური შეხვედრის გამართვა შეძლო, პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოთხოვნების არსში გარკვევის მიზნით. კოლექტიური დავის დროს

---

[27] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/yzIQ7 [ბოლოს ნანახია 8.09.2022]

[28] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 63. ხელმისაწვდომის ვებგვერდზე: shorturl.at/BCPQT [ბოლოს ნანახია 30.09.2022].

[29] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3gEJIs9 [ბოლოს ნანახია 29.09.2022].

[30] კერძოდ, მაია მერკვილაძე უნდა დაბრუნებოდა მთავარი გამოშვების რედაქტორის/სამსახურის უფროსის მოადგილის, ხოლო შორენა ღლონტი - ახალი ამბების სამსახურის უფროსის პოზიციას, რაც უზრუნველყოფდა მაუწყებელში დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნებას.

შემათანხმებელი პროცედურის თაობაზე მთავრობის დადგენილების[31] თანახმად, იმისათვის რომ მხარეებმა გაიგონ ერთმანეთის პოზიცია, ორმხრივი მოლაპარაკება მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა შედგეს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ეს შეხვედრა არ შედგა. ორივე მხარესთან დაგეგმილი გაერთიანებული შეხვედრა, რომელიც 27 მარტს უნდა გამართულიყო, გაუქმდა, რადგან მედიატორმა მიიჩნია, რომ გიორგი კოხრეიძე მოლაპარაკების მაგიდასთან არ დაჯდებოდა.

მაუწყებლის ახალმა დირექტორმა მედიაციის შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა შრომის სამინისტროსაც და კოლექტიური დავის შეწყვეტა მოითხოვა, შეწყვეტის აუცილებლობა კი პროფესიული კავშირის მოთხოვნების დაუსაბუთებლობით განმარტა. სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით,[32] მაუწყებლის დირექტორის მოთხოვნა მედიაციის შეწყვეტის თაობაზე შრომის კანონმდებლობისათვის თავის არიდების მცდელობას წარმოადგენდა, ვინაიდან შრომით მედიაციაში დაყენებული მოთხოვნების დასაბუთებულობა (გარდა ფორმალური დასაბუთებისა) არ წარმოადგენდა მინისტრის შეფასების საგანს და ამაზე მსჯელობა მედიაციის პროცესში მხარეთა შეხვედრის ფარგლებში უნდა მომხდარიყო. ამდენად, მართალია, შრომითი მედიაციის შეწყვეტის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი[33] არ არსებობდა, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროსადმი მაუწყებლის დირექტორის წერილი პროფკავშირის წარმომადგენლებისთვის ნიშნავდა იმას, რომ მოლაპარაკებები ვერ შედგა და, შესაბამისად, გაფიცვა გარდაუვალი იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამინისტროსთვის მიმართვიდან 21 დღეში, თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდებოდა ან საერთოდ ვერ შედგებოდა, კოლექტივს გაფიცვის უფლება წარმოეშვებოდა. ამრიგად, ვინაიდან აღნიშნულ ვადაში მხარეებს შორის მოლაპარაკება ვერ შედგა, მაუწყებლის თანამშრომლებს 23 მარტიდან გაფიცვის უფლება წარმოეშვათ. თუმცა მის გამოყენებაზე თანამშრომლებმა დროებით უარი თქვეს, ვინაიდან ქვეყანაში ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით საგანგებო ვითარება იყო გამოცხადებული და, იხელმძღვანელეს რა საზოგადოებრივი ინტერესებით, მიიჩნიეს, რომ ამ სიტუაციაში მაყურებლის უწყვეტი ინფორმირება აუცილებელი იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად, სწორედ იმ დღეს, 23 მარტს, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორმა გადაცემების ნაწილი, მათ შორის გადაცემა ,,ჰეშთეგი", რომელიც ალტერნატიული პროფკავშირების თავმჯდომარეს მიჰყავდა, შეაჩერა და ამის მიზეზად კორონავირუსთან დაკავშირებული საფრთხე დაასახელა (გადაცემა მოავალში აღდგა, თუმცა ის კვირაში 5 გამოშვების ნაცვლად, მხოლოდ ერთხელ გადის ეთერში). ამდენად, გადაცემის შეჩერებით დირექტორმა ალტერნატიულ პროფკავშირს გაფიცვის ბერკეტი წაართვა. აღნიშნული ადასტურებს დირექტორის მხრიდან კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული მძიმე ვითარებისა და გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მაუწყებელში კრიტიკული აზრის ჩახშობისა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების შეზღუდვის მიზნით.

2.2. ალტერნატიული პროფესიული კავშირის წევრების დევნა და შევიწროვება

[31] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/14728?publication=4 [ბოლოს ნანახია: 30.09.2022]

[32] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/gijOP [ბოლოს ნანახია 29.09.2022].

[33] შრომითი მედიაცია წყდება მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში ან თუ მხარეთა შორის შეთანხმება შეუძლებელია, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას მინისტრი იღებს. მედიაციის შეწყვეტის საფუძველი მხარეების მიერ კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟისთვის ან სასამართლოსთვის მიმართვაც შეიძლება იყოს, რასაც, ამ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს კონსტიტუციით[34] უზრუნველყოფილია პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება. საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს დასაქმებულის დისკრიმინაციას გაერთიანების წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო.[35] პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლითაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლი მოიცავს პროფესიული კავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციისგან დაცვასაც, რადგან ამ ტიპის დისკრიმინაცია წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დარღვევას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს პროფესიული კავშირის არსებობაზე.[36] შესაბამისად, პროფკავშირის წევრების დევნა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ არღვევს საერთაშორისო სტანდარტებსაც. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფკავშირის წევრების მიმართ განხორციელებული დევნა და შევიწროვება გამოკვლეულ იქნება ზემოთ მიმოხილული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს შუქზე.

აღსანიშნავია, რომ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფკავშირის დაფუძნების დროს სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამდა მასში გაერთიანების სურვილს. საწყის ეტაპზე ალტერნატიული პროფკავშირს მაუწყებლის ახალი მენეჯმენტი საფრთხედ არ აღიქვამდა და, შესაბამისად, არც მასში გაერთიანებას უქმნიდა დამაბრკოლებელ გარემოებებს. თუმცა, პროფკავშირის დაფუძნებასა და აქტიურობასთან ერთად, სხვადასხვა ხერხებითა და ფორმალური თუ არაფორმალური მეთოდებით დაიწყო პროფკავშირის წევრების შევიწროვებისა და დევნის შემთხვევები.. მაუწყებლის დირექტორი - სხვადასხვა საკითხზე ახსნა-განმარტებებისა და დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნით, თანამშრომელთა ტოტალური მონიტორინგისა და მათი სანქცირების მიზნით სოციალურ ქსელში სპეციალური ქცევის წესების დაწესებით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველზე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით - კრიტიკულად განწყობილ თანამშრომლებსა და პროფესიული კავშირის წევრებს დევნიდა და ავიწროვებდა. სწორედ აღნიშნული პრაქტიკის გამოხატულება იყო პროფკავშირის თავმჯდომარისა და სხვა მმართველი წევრების სამსახურიდან გათავისუფლება და მაუწყებლის ძირითადი საქმიანობიდან ჩამოშორება. არასამთავრობო ორგანიზაციები პროკურატურას ჟურნალისტებზე შესაძლო ზეწოლის ფაქტების გამოძიებისკენ მოუწოდებდნენ.[37] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა ***პროფესიული კავშირის წევრობისა*** და ***განსხვავებული მოსაზრების*** გამო აჭარის მაუწყებლის თანამშრომელთა მიმართ[38] პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა და რეკომენდაციით მიმართა მაუწყებელს, მომავალში თავი შეეკავებინა შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისაგან.

---

[34] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/CEKS1 [ბოლოს ნანახია 29.09.2022].

[35] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 40, პუნ. 1. ხელმისაწვდომის ვებგვერდზე: shorturl.at/BCPQT [ბოლოს ნანახია 30.09.2022].

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: DANILENKOV AND OTHERS v. RUSSIA, პარ. 123

[37] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/30453667.html [ბოლოს ნანახია 30.09.2022].

[38] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/akqGJ [ბოლოს ნანახია 29.09.2022].

პროფკავშირის წევრების განცხადებით, პროფკავშირის წევრებზე ზეწოლა[39] სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. კერძოდ, იყო მუქარა, რომ თუ ისინი გაერთიანებას არ დატოვებდნენ, მძიმე პანდემიურ პერიოდში ხელფასის გარეშე დარჩებოდნენ და გაუჭირდებოდათ სამსახურის მოძიება არა მხოლოდ ტელევიზიაში, არამედ ტელევიზიის ფარგლებს გარეთაც. აღნიშნული წარმოადგენდა მინიშნებას მენეჯმენტის შესაძლებლობებისა და გავლენის სფეროს მასშტაბურობაზე. მენეჯმენტი შევიწროვების ობიექტებად სპეციალურად არჩევდა მოწყვლადი კატეგორიის მუშაკებს, რომელთაც ოჯახის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა თუ სხვა ფაქტორების გამო პანდემიის შედეგად შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი განსაკუთრებულ ტვირთად აწვათ. ზეწოლის შედეგად, დროთა განმავლობაში დაახლოებით 10-მდე ადამიანი გამოაკლდა ალტერნატიული პროფესიული კავშირის გაერთიანებას, თუმცა პროკავშირის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა და მაუწყებლის თანამშრომელთა უფლებებისთვის ბრძოლას დღემდე აგრძელებს.

დევნისა და შევიწროვების გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული ისიც, რომ მაუწყებელში კარიერული წინსვლა, უმრავლეს შემთხვევაში, არ იყო დაკავშირებული კომპეტენციის ზრდასთან და შემოფარგლული იყო მენეჯმენტთან სიახლოვის კრიტერიუმით. მაუწყებლის ალტერნატიული პროფკავშირის წევრების განცხადებით, მაუწყებელში ამჟამადაც იგივე ვითარებაა და მათ კარიერული წინსვლის პერსპექტივა არ გააჩნიათ, ვინაიდან არ წარმოადგენენ ხელმძღვანელობასთან დაახლოებულ პირებს. სხვადასხვა სასწავლო კურსებში მონაწილეობის გზით უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობაც მხოლოდ ზემოხსენებული პირებისთვისაა ხელმისაწვდომი. ალტერნატიული პროფკავშირების შეფასებით, ამგვარი მიდგომა და პრაქტიკა თანამშრომელთა დიდი ნაწილისთვის მოტივაციის დამკარგველია და უპერსპექტივოს ხდის მაუწყებელში მათ საქმიანობას, , რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მაუწყებლიდან პროფესიონალი თანამშრომლების გადინებას. ისინი საუბრობენ პროფკავშირის წევრების მიმართ მტრულ განწყობაზე, რომელიც იგრძნობა მენეჯმენტის ყველა გადაწყვეტილებაში და რომელიც მათ სრულ იზოლირებაში გამოიხატება.

3. მაუწყებლის ინსტიტუციური მოწყობის ხარვეზები

3.1. მაუწყებლის მართვის სისტემის უახლესი ისტორიის მიმოხილვა

2016-2018 წლებში აჭარის ტელევიზია როგორც საერთაშორისო, ისე ქართული ორგანიზაციების მიერ ფასდებოდა, როგორც „პროგრესული“ და „მიუკერძოებელი“, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ხელისუფლების მიმართ დადებითად განწყობილი მედიად ითვლებოდა.[40]

მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, 2019 წლის 19 აპრილს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს, ნათია კაპანაძეს მრჩეველთა საბჭომ იმპიჩმენტი გამოუცხადა, რაც სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. ნათია კაპანაძის იმპიჩმენტის პროცესი არხის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკისთვის საფრთხის შემცველად შეფასდა.[41]

ნათია კაპანაძის გათავისუფლების შემდეგ, მრჩეველთა საბჭომ დირექტორის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი სამჯერ გამოაცხადა ჩაშლილად, მეოთხე კონკურსი კი, მესამე კონკურსის მონაწილე ერთ-ერთი

---

[39] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://publika.ge/devnian-arasasurvel-adamianebs-wamyvani-acharis-televiziashi-ganvitarebul-bolo-movlenebze/ [ბოლოს ნანახია 30.09.2022].

[40] საპრეზიდენტო არჩევნები (2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი), ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bU8iCM, განახლებულია: 03.10.2022

[41] „აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის იმპიჩმენტის საკითხს არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმიანებიან“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RiQ6Lf, განახლებულია: 03.10.2022

კანდიდატის - გიორგი კოხრეიძის სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ შეაჩერა. სამოქალაქო საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ კონკურსის შეჩერება დირექტორის ახალ მრჩეველთა საბჭოს პირობებში არჩევას ემსახურებოდა.[42]

მას შემდეგ, რაც მრჩეველთა საბჭო პროცედურების დარღვევის ფონზე[43] არჩეული 3 წევრით (თამილა დოლიძე, სოსო სტურუა და თამარ წილოსანი) განახლდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება კონკურსის შეჩერების შესახებ, ჩატარდა მეოთხე კონკურსი და 2019 წლის 22 ნოემბერს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორად გიორგი კოხრეიძე დაინიშნა.[44]

არსებითი ცვლილებები ტელევიზიასა და რადიოში სწორედ ამ პერიოდიდან,, მას შემდეგ დაიწყო, რაც ტელევიზიის დირექტორი საბჭოს ბორდის ყოფილი წევრი, გიორგი კოხრეიძე გახდა. არჩევის შემდგომ, ახალმა დირექტორმა ჯერ ტელევიზიის თანამშრომელთა საჯარო კრიტიკა, ხოლო მოგვიანებით ტელევიზიასა და რადიოში არსებული საშტატო ცვლილებების პროცესი წამოიწყო. მიმდინარე პროცესები კრიტიკულად შეფასდა მედია-გარემოზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ.[45]

3.2. აჭარის მაუწყებლის ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული გამოწვევები

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით.[46] აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითაა დაცული.[47] ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გარანტირებულია, რომ კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენებისგან.[48] საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს

---

[42] „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის აჭარის ტელევიზიის დირექტორის შერჩევის პროცესს ეხმიანება“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bQ24nq განახლებულია: 03.10.2022

[43] „აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევის პროცედურები კანონის დარღვევით მიმდინარეობს“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UK2dmM განახლებულია: 03.10.2022

[44] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება #01/01-22. განახლებულია: 03.10.2022

[45] „EMC აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას ეხმიანება“, 28.02.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rqgrst; განახლებულია: 03.10.2022 „კოალიცია მედია ადვოკატირებისათვის აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ პროცესებს აფასებს“, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/80235 განახლებულია: 03.10.2022; „საქართველოს სახალხო დამცველი აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება“ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E8KnAX განახლებულია: 03.10.2022

[46] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 10.

[47] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17

[48] იქვე

პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებლო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისგან თავისუფლება.[49]

იმისათვის, რომ ზემოთ ხსენებული მოთხოვნები შესრულდეს, აუცილებელია ტელევიზიაში არსებული ინსტიტუციები იყვნენ პოლიტიკურად დამოუკიდებლები და ხარვეზების გარეშე მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის გავლენების გარეშე მაუწყებლის ფუნქციონირებას. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს არჩევის წესი არის ხარვეზიანი და ბუნდოვანი, რის გამოც არჩევნები ხშირად დარღვევებით მიმდინარეობს. დაბალი შრომითი დაცვის სტანდარტები და უკანონო გადაწყვეტილებები შრომით ურთიერთობებში საფრთხეს უქმნის მაუწყებლის სტაბილურ და დამოუკიდებელ განვითარებას. სარედაქციო საბჭოს არასრულად არის დაკომპლექტებული და ქმედითად არ მუშაობს. ანგარიშის ამ ნაწილში სწორედ აღნიშნულ გამოწვევებზე გვექნება მსჯელობა.

3.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოში არჩევის წესი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო 5 წევრისგან შედგება. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები კანონითაა განსაზღვრული. ის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოს, სახელფასო ფონდს, ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ა.შ. მასვე ევალება პროგრამული პრიორიტეტების შემუშავება და მისი კონტროლი.[50]

წესი, რომლითაც კომპლექტდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ხარვეზულია. ამ ხარვეზის არსებობაზე საუბრობენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და მედია ექსპერტები.[51] საბჭოს წევრები შეირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციებისა და უფრაქციო დეპუტატების მიერ. შესაბამისად, მრჩეველთა საბჭო არ არის თავისუფალი პოლიტიკური ზეგავლენისგან. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[5] მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთაგან სამს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციები, მათში შემავალ დეპუტატთა რაოდენობის პროპორციულად, ხოლო ორს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრების არანაკლებ ერთი მეოთხედი წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ასარჩევად.[52]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგიური საბჭოს დაკომპლექტებისას კანონმდებელმა გაითვალისწინა, რომ პოლიტიკური მდგენელის დასაბალანსებლად საჭირო იყო ამგვარ საბჭოში სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული კანდიდატების წარდგენაც.[53] საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემთხვევაში კი ამგვარი დაშვება არ მომხდარა.

---

[49] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 16

[50] იხილეთ: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის დებულება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LVdZ6Q განახლებულია: 03.10.2022

[51] „5-დან 3 ხმა ხელისუფლებას - ხარვეზები და კითხვები აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტებაში“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39MvMbu განახლებულია: 03.10.2022

[52] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 35.

[53] იქვე მუხლი 24.2

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვოტირების წესის შესახებ ჩანაწერი ორაზროვანია და ტოვებს ინტერპრეტირების იმგვარ შესაძლებლობას, რომ უმრავლესობაში მყოფმა პარტიამ უმრავლესობის შექმნა მრჩეველთა საბჭოშიც შეძლოს. ასეთი რამ უკვე მოხდა 2019 წელს, როდესაც საბჭოს ხუთი წევრიდან ოთხს 2019 წლის ოქტომბერში ამოეწურა საბჭოს წევრობის ვადა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა დაემტკიცებინა ოთხი ახალი წევრი. კერძოდ, ფრაქცია ქართული ოცნება „მაჟორიტარების“ წარდგენილი კანდიდატი თამილა დოლიძე, ფრაქცია ქართული ოცნება „აჭარას“ წარდგენილი კანდიდატი სოსო სტურუა და დამოუკიდებელი დეპუტატის, პეტრე ზამბახიძის მიერ წარდგენილი კანდიდატი თამარ წილოსანი.[54] ხოლო მეოთხე კანდიდატმა, დიანა ვაშაყმაძემ, რომელიც „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა გიორგი ცინცქილაძემ წარადგინა, ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.[55]

საყურადღებოა, რომ მრჩეველთა საბჭოს მეხუთე წევრი, გიგა ჩხარტიშვილი, რომელსაც უფლებამოსილების ვადა არ გასვლია, არჩეული იყო „ქართული ოცნების“ კვოტით.[56] შესაბამისად, მმართველი პარტიის კვოტით მრჩეველთა საბჭოში აღმოჩნდა სამი წევრი, ერთი - დამოუკიდებელი კანდიდატის მიერ წარდგენილი. ოპოზიციას კი კანონით განსაზღვრული პროპორციით კუთვნილ ადგილზე კანდიდატი საერთოდ არ წარუდგენია. . ოპოზიციის კანდიდატი, გია ქარცივაძე, უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 8 იანვარს აირჩია და საბოლოოდ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტდა ფრაქციების მიერ არჩეული ოთხი წევრითა და დამოუკიდებელი დეპუტატების მიერ წარმოდგენილი ერთი წევრით, რითაც დაირღვა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მოთხოვნები. წესით, 2019 წლის 25 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ თავისი კვოტით მრჩეველთა საბჭოში უნდა შეეყვანა არა ორი, არამედ მხოლოდ ერთი წევრი, რადგან კანონის თანახმად, მას უკვე ჰყავდა დანიშნული ერთი წევრი და კიდევ ერთი წევრის კვოტა ეკუთვნოდა. შესაბამისად, 2019 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საბჭომ უგულვებელყო კანონის მოთხოვნები და მრჩეველთა საბჭო კანონის დარღვევით დააკომპლექტა.[57]

მრჩეველთა საბჭოს არჩევის ამგვარი პოლიტიზება, ასევე საკანონმდებლო ნორმის ბუნდოვანება, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სარედაქციო პოლიტიკას, მის მიუკერძოებლობას და აზიანებს მაუწყებლის ავტორიტეტს მაყურებლისა და მსმენელის თვალში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სულ ცოტა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის რეგულაციის გადმოტანა აჭარის ტელევიზიაში.

3.4. სარედაქციო დამოუკიდებლობის პრობლემა

ტელევიზიის სარედაქციო დამოუკიდებლობა არსებითად გადაჯაჭვულია დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის საკითხთან. შრომითი დაცვის დაბალი სტანდარტები და უკანონო გადაწყვეტილებები შრომით ურთიერთობებში საფრთხეს უქმნის მაუწყებლის სტაბილურ და დამოუკიდებელ განვითარებას. 2019 – 2020 წლებში განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენა, რომ შრომითი ურთიერთობის არასათანადო

---

[54] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e5Dd0O განახლებულია: 03.10.2022

[55] „უმაღლესმა საბჭომ აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 3 წევრი დაამტკიცა“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RfAxUL განახლებულია: 03.10.2022

[56] „5-დან 3 ხმა ხელისუფლებას - ხარვეზები და კითხვები აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტებაში“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39MvMbu განახლებულია: 03.10.2022

[57] იხილეთ: რა მოხდა აჭარის მაუწყებელში 10.04.2019-10.04.2020, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EczNZY განახლებულია: 03.10.2022

გარანტიები აშკარად უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი მაუწყებლის სათანადო ფუნქციონირებაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დირექტორის წარდგინებით, მმართველთა საბჭო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.[58] საბჭო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს დებულებაში. ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამეურვეო საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და პრემიების ზღვრულ ოდენობებს.

ზემოთ ხსენებული რეგულაციიდან გამომდინარე, მმართველთა საბჭოს უმრავლესობით შეუძლია საშტატო ნუსხის შეცვლა, რაც ნიშნავს იმას, რომ ამავე გადაწყვეტილებით შესაძლებელია აჭარის მაუწყებლობის სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი პირების სამსახურებიდან ჩამოშორება. მსგავსი რამ მოხდა ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის, მაია მერკვილაძის შემთხვევაში. ტელევიზიის დირექტორმა და შემდგომში მრჩეველთა საბჭომ, 2020 წლის 19 თებერვლის #01-01/03 გადაწყვეტილებით, საშტატო ნუსხის ცვლილების გზით მნიშვნელოვანი თანამდებობები ხელოვნურად გააუქმა, შექმნა ახალი პოზიციები, რომლებზეც დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობა **ძველისაგან** არ განსხვავდება. [59]

მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი კადრები აჭარის მაუწყებლის დებულებაში ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილად შევიდნენ, რომ მათი შეცვლაც და სამსახურიდან გათავისუფლებაც დირექტორსა და მმართველთა საბჭოს განსხვავებული კვოტით (საბჭოს 2/3) და უფრო მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში მოუხდეს.[60]

3.5. სარედაქციო საბჭო

ტელევიზიის სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნისათვის ასევე აუცილებელია სარედაქციო საბჭოს სხვაგვარი დაკომპლექტება და მისი ქმედითი მუშაობა. მაუწყებლის მოქმედი დებულებით განსაზღვრულია კოლეგიური ორგანო - სარედაქციო საბჭო, რომლის ფუნქციონირების მიზანია, რომ მაუწყებლობის სარედაქციო პოლიტიკა იყოს ობიექტური, დაბალანსებული, ეთიკური და მუდმივად განვითარებადი მისი პრიორიტეტებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

---

[58] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 30

[59] 2,,საია - აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა შეცვლის საფრთხის წინაშეა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JEF2Eh, განახლებულია: 03.10.2022

[60] იხილეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის დებულება. მუხლი 3 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LVdZ6Q განახლებულია: 03.10.2022

სარედაქციო საბჭო დაკომპლექტებულია ახალი ამბების სამსახურის უფროსითა და ახალი ამბებისა და შემოქმედებითი მიმართულებების რედაქტორებით. [61]

შეიძლება ითქვას, რომ სარედაქციო საბჭო არასრულყოფილადაა დაკომპლექტებული, რადგან მასში არ შედის სარედაქციო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ყველა პირი, რომელიც ტელევიზიაშია დასაქმებული, მათ შორის, რადიო-მაუწყებლობის სამსახურის უფროსი, ონლაინ-მედიის სამსახურის უფროსი, საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის უფროსი, საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის უფროსის მოადგილე შემოქმედებითი მიმართულებით.

სარედაქციო საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერებით შესაძლებელია სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი პირების სამსახურებიდან ჩამოშორების პრობლემის აღმოფხვრაც. სარედაქციო საბჭოს უფლებამოსილებად უნდა განისაზღვროს სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის შრომის არსებითი პირობების ცვლილებისა და სამსახურიდან გათავისუფლების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მათი მონაწილეობა, გადაწყვეტილების მიღებისთვის კი სავალდებულო უნდა იყოს წევრთა უმრავლესობის თანხმობა.

3.6. აჭარის მაუწყებლის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტირებისთვის საჭირო ცვლილებები

ამდენად, მაუწყებლის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია, რომ არსებული ინსტიტუციები იყვნენ პოლიტიკურად დამოუკიდებლები და მუშაობდნენ ხარვეზების გარეშე. ასევე აუცილებელია სარედაქციო დამოუკიდებლობისთვის საჭირო სტრუქტურული ცვილებების გატარება.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობისათვის საჭიროა შეიცვალოს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევის წესი. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება, მსგავსად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგიური საბჭოს დაკომპლექტები წესისა, გათვალისწინებული იქნეს სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული კანდიდატების წარდგენა. ასევე მნიშვნელოვანია თავად კვოტირების წესის შეცვლა და ნორმის იმგვარად ფორმულირება, რომ რომელიმე კონკრეტულმა პარტიამ ვერ შეძლოს საბჭოს უმრავლესობით დაკომპლექტება.

სარედაქციო დამოუკიდებლობაში უხეში ჩარევის თავიდან ასარიდებლად საჭიროა, რომ მაუწყებლის დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი კადრები აჭარის მაუწყებლის დებულებაში შევიდნენ ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილად. ამასთან, სარედაქციო საბჭოს სხვაგვარი დაკომპლექტება და მასში ტელევიზიაში დასაქმებული სარედაქციო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ყველა პირის შეყვანა გარკვეულ წვლილს შეიტანს დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერებაში.

დასკვნა

აჭარის მაუწყებელში 2019 წლიდან მიმდინარე მოვლენებმა მძიმე გავლენა მოახდინა არა მხოლოდ აქ დასაქმებული ჟურნალისტების, რედაქტორებისა და სხვა თანამშრომლების შრომით უფლებებზე და მათი ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლებაზე, არამედ მაუწყებლის, როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის დამოუკიდებლობასა და, მთლიანობაში, ქვეყანაში მედია თავისუფლების მდგომარეობაზე. ბოლო 3 წლის განმავლობაში აჭარის მაუწყებლის ახალი მენეჯმენტის მიერ მიღებული უკანონო და ფორსირებული გადაწყვეტილებების ჯაჭვი დევნის, შევიწროებისა და დისკრიმინაციის უმძიმეს გამოცდილებას ქმნიდა, რითაც მკვეთრად დასუსტდა ის ნდობა, რომელიც აჭარის მაუწყებლის მიმართ ბოლო წლებში იქმნებოდა. სამწუხაროდ, მაუწყებლის ინსტიტუციური მოწყობის სისტემას არ

---

[61] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სარედაქციო საბჭოს დებულება“, დამტკიცებულია სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის #02 03/05 ბრძნებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dSwWui განახლებულია: 03.10.2022

აღმოაჩნდა საკმარისი მედეგობა და დამოუკიდებლობის სათანადო გარანტიები იმისთვის, რომ მას ახალი მენეჯმენტის გადაწყვეტილებების შეკავება და დაბალანსება შეძლებოდა. ამ პერიოდში კიდევ ერთხელ გახდა აშკარა, რომ მაუწყებლის მოწყობის სისტემა და კონსტიტუციური გარანტიები გადასახედია.

ნიშანდოლივია ისიც, რომ აჭარის მაუწყებელში კონტროლზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება ემთხვევა ზოგადად ქვეყანაში მედია გარემოს გაუარესების ტენდენციას, რაც მთლიანობაში ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების კონსოლიდაციისა და ამ მიზნით პოლიტიკური პოლარიზაციის აგრესიულ პროცესს უკავშირდება. აჭარის მაუწყებლის ყოფილი დირექტორის იმპიჩმენტს და ახალი დირექტორის სადავო პირობებში არჩევას წინ უძღოდა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მკვეთრად კრიტიკული განცხადებები აჭარის მაუწყებლის მუშაობის მიმართ, რამაც იმთავითვე გააჩინა ეჭვები, რომ ის თავისუფლების მომენტი, რომელიც ისტორიულად ხელისუფლებების მიერ კონტროლირებადი მაუწყებლის რეალობაში დადგა, შეიძლებოდა დიდხანს არ გაგრძელებულიყო და სისტემა კვლავ ჩაკეტვისა და პოლიტიკური კონტროლის მდგომარეობაში გადასულიყო. სამწუხაროდ, 3 წლის შემდეგ ახალი მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აჭარის მაუწყებელში კვლავ საზოგადოებრივი ინტერესების დათმობისა და პოლიტიკური კონტროლის გაძლიერების მძიმე განცდას ქმნის.

ამ ნეგატიური გამოცდილების ფონზე, აღსანიშნავია მაუწყებლის დასაქმებულების თვითორგანიზებულობა, რომლებმაც უკვე პროფესიული გაერთიანების ფარგლებში და სტატუსით დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებებისა და, ამდენად, მაუწყებლის დამოუკიდებლობის და მის უკან მდგომი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებისთვის. ეს ბძოლა დღემდე გრძელდება და სასამართლოში მიმდინარე დავები თუ პროფესიული გაერთიანების სხვა ყოველდღიური მცდელობები უფლებების დარღვევის ფაქტების აღიარებისა და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინს აჩენს.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ბოლო წლებში აჭარის მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს კრიტიკული პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცემა და მის საფუძველზე მიღწეული ახალი შეთანხმება მაუწყებლის, როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და მედია ინსტიტუტის რეალური დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლების საფუძველი გახდება.